

16/45

შეთანხმება

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროსა და უკრაინის ტრანსპორტის სამინისტროს შორის ფოთისა (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) პორტებს შორის საავტომობილო-საბორანო გადაზიდვების ერთობლივი ექსპლოატაციისა და ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო და უკრაინის ტრანსპორტის სამინისტრო, შემდგომ „ხელშეკრულები მხარეები“,
ეყრდნობიან რა თანასწორი პარტნიორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს,

ანიჭებენ რა მნიშვნელობას ერთობლივ საქმიანობას ევრაზიის სატრანსპორტო კორიდორის შექმნასა და ფუნქციონირებას,

აღიარებენ რა ტვირთების გადაზიდვების განსაკუთრებულ მნიშვნელობას როგორც ურთიერთმიწოდებით, ასევე, მესამე ქვეყნებში,

ფოთისა (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) პორტებს შორის საერთაშორისო რეგულარული საავტომობილო-საბორანო მიმოსვლის ორგანიზაციის მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე :

მუხლი 1

1. ხელშეკრულები მხარეები თანამშრომლობენ და უწყვეტ ერთმანეთს აუცილებელ დახმარებას ორ ქვეყანას შორის საავტომობილო-საბორანო მიმოსვლის შემდგომი განვითარების მიზნით.

2. ხელშეკრულები მხარეები იცავენ ტვირთების გადაზიდვების განხორციელების მოქმედ წესს ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების შესაბამისად, რომელთა მონაწილეებად ითვლებიან ხელშეკრულები მხარეთა სახელმწიფოები.

მუხლი 2

ხელშეკრულები მხარეები უფლებამოსილებას ანიჭებენ თავის საავტომობილო და საზღვაო საწარმოებს შეთანხმებების, ხელშეკრულებებისა და ოქმების ხელმოსაწერად, რომლებიც არეგულირებენ ტექნიკურ, საექსპლუატაციო და სხვა საკითხებს, გამოძინარე ამ შეთანხმებიდან, საერთაშორისო კონვენციების დაცვითა და ხელშეკრულები მხარეთა სახელმწიფოების კანონმდებლობების შესაბამისად.

მუხლი 3

ხელშეკრულები მხარეები უზრუნველყოფენ ერთმანეთის დაუყოვნებელ ინფორმირებას თავიანთ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საავტომობილო-საბორანო მიმოსვლის განხორციელების დაბრკოლებათა წარმოქმნის, ასევე, ამ დაბრკოლებათა თავიდან აცილების შესახებ.

მუხლი 4

ფოთისა (საქართველო) და ილიჩევსკის (უკრაინა) პორტებს შორის საავტომობილო-საბორანო რეგულარული მიმოსვლის განხორციელებისათვის ხელშემკვრელი მხარეები ფოთისა და ილიჩევსკის პორტებში გამოიყენებენ სპეციალიზირებულ საავტომობილო-საბორანო კომპლექსებს.

უკრაინის ტრანსპორტის სამინისტრო ავალებს სსკ „უკრფერი“-ს მიამაგროს საავტომობილო-საბორანო ხომალდი მითითებული მიმართულებით სამუშაოდ, რომელიც საავტომობილო კომპონიციების გადასაზიდად შესაბამისად იქნება აღჭურვილი.

მუხლი 5

ხელშემკვრელ მხარეთა საწარმოები დამოუკიდებლად ანხორციელებენ თავისი ხომალდების, სანაპირო ნავსაყუდელი მოწყობილობებისა და საავტომობილო კომპლექსების ექსპლუატაციას და ახდენენ ამასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯების ანაზღაურებას და იღებენ პასუხისმგებლობას პრეტენზიებსა და სარჩელებზე.

მუხლი 6

ხაზის ექსპერიმენტალური ხასიათის გათვალისწინებით, დამატებითი ტვირთის ნაკადის მოზიდვისათვის, ხაზის მუშაობის პირველი ექვსი თვე საბორანო ხომალდები თავისუფლდებიან საპორტო მოსაკრებლებისაგან. შემდგომში ხაზზე მომუშავე ხომალდების მიმართ გამოიყენება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

საბორანო ხომალდების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ურთიერთომსახურება ანაზღაურდება თითოეული მომსახურების წარმდგენი ქვეყნის პორტში მოქმედი წესებისა და ტარიფების შესაბამისად.

მუხლი 7

საერთაშორისო საავტომობილო-საბორანო მიმოსვლისას ტვირთის გადაზიდვის ღირებულება განხორციელდება ტვირთის მფლობელის (ექსპედიტორის) მიერ ტარიფებითა და ნიხრით, რომლებსაც ამტკიცებენ ხელშემკვრელი მხარეები.

მუხლი 8

პორტებში ტერმინალის ხარჯები ანაზღაურდება თითოეული ქვეყნის ტვირთის მფლობელის (ექსპედიტორის) მიერ ხელშემკვრელ მხარეთა შორის შეთანხმებული ტარიფებით.

მუხლი 9

შეთანხმების გამოყენებისას ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი უთანხმოებები უნდა გადაწყდეს უშუალო მოლაპარაკებების გზით ხელშეკვრულ მხარეთა ტრანსპორტის სამინისტროებს შორის.

მუხლი 10

ამ შეთანხმებაში ცვლილებები და დამატებები ფორმდება ოქმებით, რომლებიც ხელშეკვრულ მხარეთა დადასტურების შემდეგ წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11

1. შეთანხმება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. შეთანხმება შეიძლება დენონსირებულ იქნას ერთ-ერთი ხელშეკვრული მხარის მიერ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ძალას კარგავს ერთი ხელშეკვრული მხარის მიერ ამის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

3. შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა ხელშეკვრულ მხარეს არ ათავისუფლებს მისი მოქმედების პერიოდში აღებული ვალდებულებებისა და შეთანხმებებისაგან შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 12

შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შესრულებულია ქ. ოდესაში 1996 წლის „.....“ დეკემბერს, ორ ნამდვილ პირად, თითოეული ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია. შეთანხმების დებულებათა განმარტებისას წამოჭრილი უთანხმოებების წამოჭრის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს ტრანსპორტის
სამინისტროს სახელით

უკრაინის ტრანსპორტის
სამინისტროს სახელით

ო ქ მ ი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროს შორის საზღვაო-სამხედრო თანამშრომლობის სფეროში განზრახვათა შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ, შემდგომში მხარეებად მოხსენიებულებმა, განიხილეს რა სამხედრო-საზღვაო სფეროში თანამშრომლობის საკითხები,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეები 1996 წელს ექსპერტთა შეხვედრებზე განიხილავენ სამხედრო-საზღვაო სფეროში თანამშრომლობის ორგანიზების შესაძლებლობას შემდეგი მიმართულებით:

- სანაპირო დაკვირვებისა და კავშირის გამოყენება უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ინტერესებში;
- საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის კადრების მომზადება უკრაინის სამხედრო-საზღვაო სასწავლო დაწესებულებებში;
- ნაოსნობის დაცვა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

2. უკრაინის მხარე განიხილავს საქართველოს ტერიტორიაზე დაკვირვების ოთხი რადიოტექნიკური პოსტის აღდგენის შესაძლებლობას, უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის შავ ზღვაზე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის შემდგომი ორგანიზაციით.


3. უკრაინის მხარე განიხილავს შეთანხმების პროექტს უკრაინის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ზღვაზე უბედური შემთხვევის დროს საფრენი აპარატების ეკიპაჟების, გემებისა და ხომალდების დახმარების, ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის საქმეში თანამშრომლობის თაობაზე.

4. საქართველოს მხარე შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოსთვის სამხედრო-საზღვაო ნომენკლატურის სამხედრო

ქონების გადაცემის საკითხების შესახებ მხარეთა თავდაცვის
 სამინისტროებს შორის სამუშაო შენეების ოქმის პროექტთან
 დაკავშირებით.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1996 წლის „5“ ნოემბერს, ორ
 კვანძულად თითოეული ქართულ და უკრაინულ ენაზე, ამასთან
 ყველა ტექსტი აუტენტურია.

საქართველოს თავდაცვის
 სამინისტროს სახელით



უკრაინის თავდაცვის
 სამინისტროს სახელით

